



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუნთიკაშვილი ალექსანდრე ვარდენის ძე

ბუნთიკაშვილი ალექსანდრე ვარდენის ძე [22. V (4. VI).1909, სურამი, ახლანდ. ხაშურის რ-ნი, – 1. V. 1983, თბილისი], გეოლოგი და გეოფიზიკოსი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1968), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1931 დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტი. მუშაობდა ამიერკავკ. გეოლ.-საძიებო სამმართველოში, 1934-იდან – სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალის გეოფიზ. ინ-ტში. 1937-53 ხელმძღვანელ სამუშაოზეა. 1953 – 72 იყო საქართვე. მეცნ. აკად. გეოფიზ. ინ-ტის დირექტორი, 1972-75 – ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე, 1975-იდან – საქართვე. მეცნ. აკად. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავ-რის მოადგილე. ძირითადი შრომები აქვს დედამიწის ქერქისა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოფიზ. მეთოდებით (ელექტროძიება) კვლევის, აგრეთვე სეტყვის ღრუბლებზე აქტ.ზემოქმედების დარგში. სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტებისა და ჭურვების გამოყენებით სეტყვასთან ბრძოლის მეთოდისა და საშუალებების დამუშავებისა და დანერგვისათვის მეცნიერთა და კონსტრუქტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1969). იყო საქ. სსრ II და III მონწევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თბზ.: Электроразведка в рудной геологии Закавказья, Тб., 1962; Электротеллурическая съемка и магнитотеллурическое зондирование на территории Восточной Грузии, Тб., 1969 (თანაავტ.); Геофизическая разведка Аджарской группы медно-полиметаллических месторождений, Тб., 1974 (თანაავტ.).